საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/70 " 18 " ივლისი 2022 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

მ. ფხაკაძის რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

2022 წლის 27 ივნისს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ინიცირებულ იქნა საკითხი ზოგიერთ რაიონულ სასამართლოში, მათ შორის რუსთავის საქალაქო სასამართლოში, თავმჯდომარეთა დანიშვნის შესახებ. რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის ვაკანსიაზე მიღებულ იქნა ამავე სასამართლოს მოსამართლის მამია ფხაკაძის განცხადება.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 32-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, რაიონული (საქალაქო) სასამართლოს თავმჯდომარეს შესაბამისი სასამართლოს მოსამართლეთაგან, ხოლო იმ სასამართლოს თავმჯდომარეს, სადაც შექმნილია სასამართლო კოლეგიები, - მათ შორის, სასამართლო კოლეგიების თავმჯდომარეთაგან, 5 წლის ვადით თანამდებობაზე ნიშნავს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო დასაბუთებული გადაწყვეტილებით. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობაზე დანიშვნამდე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო შესაბამისი სასამართლოს მოსამართლეებთან მართავს კონსულტაციებს. 2022 წლის 18 ივლისს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გაიმართა კონსულტაცია რუსთავის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეებთან. შეხვედრას ესწრებოდა 10 მოსამართლე. მოსამართლეებმა მხარი დაუჭირეს მამია ფხაკაძის კანდიდატურას და აღნიშნეს, რომ იგი არის გამორჩეული პიროვნული თვისებების მენეჯერი, რომელიც მუდმივად ზრუნავს სასამართლოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებისათვის. იგი მოსამართლეებსა და სასამართლოს აპარატს შორის სარგებლობს მაღალი ავტორიტეტით. მამია ფხაკაძეს აქვს სხვადასხვა რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში მოსამართლედ და სასამართლოს თავმჯდომარედ მუშაობის 14-წლიანი გამოცდილება.

საბჭოს თავმჯდომარის მიერ კენჭისყრაზე დაყენებული საკითხი - რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარედ მამია ფხაკაძის დანიშვნის შესახებ, მხარდაჭერილ იქნა საბჭოს წევრთა მიერ ერთხმად.

აღნიშნულის გათვალისწინებით, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 32-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად და რუსთავის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეთა პოზიციის გათვალისწინებით, 2022 წლის 25 ივლისიდან:

1. რუსთავის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე მამია ფხაკაძე დაინიშნოს რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარედ, 5 წლის ვადით.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „მ. ფხაკაძისათვის რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილების დაკისრების შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2022 წლის 10 ივნისის №1/56 განკარგულება.

ნინო ქადაგიძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე